

ვადიანი ანაზრის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

1. **დეფინიციები**
თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ან მისი კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს ხელშეკრულებაში შემდეგ ტერმინებსა და გამოთქმებს ექნებათ შემდეგი მნიშვნელობები:
 - 1.1. **ანგარიში - ბანკში** არსებული მენაზრის საბანკო ანგარიშ(ებ)ი, მათ შორის, ერთმნიშვნელოვნად საანაზრე ანგარიში ან/და მომსახურე ანგარიში კონტექსტის შესაბამისად.
 - 1.2. **განცხადებები და გარანტიები - ვადიანი ანაზრის ხელშეკრულების დანართი N1-ის მე-2 მუხლში** მოცემული მენაზრის განცხადებები და გარანტიები.
 - 1.3. **დამატებითი პირობები - ვადიანი ანაზრის ხელშეკრულების დანართი N2-ით** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული პირობები, მასში შეტანილი დამატებებისა და ცვლილებების ჩათვლით.
 - 1.4. **დანართი - თუ** ცალსახად სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული ხელშეკრულებით, ხელშეკრულების დანართ(ებ)ი (კონტექსტის შესაბამისად), რომელიც/რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.
 - 1.5. **ვადიანი ანაზარი (ან ვადიანი დეპოზიტი ან ანაზარი)** - ხელშეკრულების შესაბამისად და პირობებით ბანკისთვის გადახდის/დაბრუნების წინასწარ შეთანხმებული ვადით გადაცემული ფულადი სახსრები.
 - 1.6. **ვადიანი ანაზრის ხელშეკრულება (ან ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულება) - ბანკსა და მენაზრეს** შორის გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ვადიანი ანაზრით სარგებლობის კონკრეტული პირობები.
 - 1.7. **კანონმდებლობა - საქართველოს** მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.
 - 1.8. **მენაზრე (ან დეპოზიტორი) - ფიზიკური პირ(ებ)ი,** იურიდიული პირ(ებ)ი ან/და სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომლის/რომელთა სახელი/სახელწოდება, საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა სახის ინფორმაცია მოცემულია ვადიანის ანაზრის ხელშეკრულების 1.2. პუნქტში.
 - 1.9. **მესამე პირი - ნებისმიერი პირი** გარდა მენაზრისა ან/და ბანკისა.
 - 1.10. **მომსახურე ანგარიში - ანგარიში,** რომელიც გამოიყენება ვადიან ანაზართან დაკავშირებული საბანკო ოპერაციების საწარმოებლად.
 - 1.11. **მზარე/მზარეები - მენაზრე ან/და ბანკი,** კონტექსტის შესაბამისად.
 - 1.12. **პირი - ფიზიკური პირ(ებ)ი,** იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს.
 - 1.13. **საანაზრე ანგარიში (ან სადეპოზიტო ანგარიში) - ანგარიში,** რომელზეც აღირიცხება მენაზრის მიერ ბანკისთვის გადაცემული ფულადი სახსრები.
 - 1.14. **საბანკო დღე - დღე** (შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობას.
 - 1.15. **საბანკო მომსახურების პირობები - ბანკის** მიერ დადგენილი საბანკო ანგარიშით და მასთან დაკავშირებული საბანკო პროდუქტებით სარგებლობის სტანდარტული პირობები.
 - 1.16. **საკომისიო - ხელშეკრულების ფარგლებში** და მათ შესაბამისად, ბანკის მიერ ვადიანი ანაზრით სარგებლობისათვის მენაზრისათვის დაწესებული გადასახადი.
 - 1.17. **საპროცენტო სარგებელი - ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად ვადიანი ანაზრით სარგებლობისათვის დაწესებული მენაზრისათვის გადასახდელი სარგებელი.
 - 1.18. **შვილობილი კომპანია - პირთან** მიმართებაში, ნებისმიერი სხვა კომპანია, რომლის წილის, აქციების ან/და ხმების არანაკლებ 50%-ს (ორმოცდაათ პროცენტს) პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს, ან რომელსაც სხვაგვარად მართავს აღნიშნული პირი.
 - 1.19. **ხელშეკრულება - მზარეთა შორის** დადებული: ა) ვადიანი ანაზრის ხელშეკრულება; ბ) ვადიანი ანაზრის ხელშეკრულების დანართი N1 (სტანდარტული პირობები); გ) ვადიანი ანაზრის ხელშეკრულების დანართი N2 (დამატებითი პირობები), ასეთის არსებობის შემთხვევაში; და დ) ნებისმიერი დამატებითი დანართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაიდება მომავალში მენაზრის ვადიანი ანაზრით სარგებლობასთან მიმართებაში, მათში პერიოდულად შეტანილი ცვლილებების და დამატებების ჩათვლით.
2. **განცხადებები და გარანტიები**
 - 2.1. **მენაზრე** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

- 2.1.1. **ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებულია ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;
- 2.1.2. **ხელშეკრულების** დანართის დადების/ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებული იქნება ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა თუ მინდობილობა;
- 2.1.3. **ხელშეკრულება** იდება/დაიდება მის მიერ ნებაყოფლობით, მეორე მხარის ან სხვა მესამე პირთა მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;
- 2.1.4. **ხელშეკრულების** დადება და შესრულება არ იწვევს/გამოიწვევს იმ სახელშეკრულებო, სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო), საკანონმდებლო ან/და სხვა ვალდებულებების დარღვევას, რომელთა დაცვაზეც ის პასუხისმგებელია;
- 2.1.5. **ბანკის** წერილობითი ან ზეპირი მოთხოვნით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, **ბანკისათვის** მისაღები ფორმით მიაწვდის **ბანკს** ნებისმიერ დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, რომელიც: ა) აუცილებელია **ბანკის** მიერ **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დასაცავად და შესასრულებლად, ბ) გათვალისწინებულია **ხელშეკრულებით** ან/და გ) მოთხოვნილია **ბანკის** მიერ გონივრულობის ფარგლებში.
- 2.1.6. ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევა გამოიწვევს **ვადიანი ანაზრით** სარგებლობის უფლების შეწყვეტას ან/და **ხელშეკრულების** შეწყვეტას..
- 2.2. **მეანაზრის** აღნიშნული **განცხადებები** და **გარანტიები** ძალაშია **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულების** საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად **ხელშეკრულების** შეწყვეტისა.
- 2.3. **მეანაზრე** დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს **ბანკს** ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ განცხადებებთან ან/და გამოიწვიოს აღნიშნული გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება **მეანაზრის** აქტივებს/ქონებას ან/და მის მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას.
- 2.4. **მხარეები** აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ **ბანკი** მხოლოდ **მეანაზრის** ზემოაღნიშნული **განცხადებების** და **გარანტიების** საფუძველზე და მათზე დაყრდნობით დებს/დადებს და შეასრულებს **ხელშეკრულებას**.
3. **ვადიანი ანაზრით სარგებლობის პირობები, პროცედურები და წესები**
- 3.1. **ვადიანი ანაზრით სარგებლობის ზოგადი პირობები**
- 3.1.1. **ბანკი** უფლებამოსილია **მეანაზრის** მიერ **საანაზრე ანგარიშზე** შენატანის ფაქტობრივ განხორციელებამდე ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დააწესოს დამატებითი პირობები **ვადიანი ანაზრით** სარგებლობასთან დაკავშირებით ან/და უარი განუცხადოს **მეანაზრეს** **ვადიანი ანაზრის** სარგებლობაზე, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ დარღვეულია **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** გაფორმებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით დადგენილი პირობები და მოთხოვნები, ან/და **მეანაზრის** მიერ არ ხდება **ვადიანი ანაზრით** სარგებლობა **ვადიანი ანაზრის ხელშეკრულების** გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ იქნა გათვალისწინებული;
- 3.1.2. **ვადიანი ანაზრის** კონკრეტული პირობები (შემდგომში - **კონკრეტული პირობები**) ცვალებადია და განისაზღვრება **ბანკის** მიერ ცალმხრივად. **ვადიანი ანაზრის ხელშეკრულების მე-3 მუხლით** განისაზღვრება **ვადიანი ანაზრის ხელშეკრულების** დადების მომენტისათვის **ბანკის** მიერ დადგენილი **ვადიანი ანაზრით** სარგებლობის ძირითადი **კონკრეტული პირობები**, ხოლო **ვადიანი ანაზრით** სარგებლობის სხვა **კონკრეტულ პირობები** ხელმისაწვდომია **ბანკის** სერვის ცენტრებში ან/და სხვა მომსახურების წერტილებში, მათ შორის **ბანკის** ვებ-გვერდზე;
- 3.1.3. თუ **ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს ან **მხარეები** სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან:
- 3.1.3.1. ერთი **ვადიანი ანაზრით** სარგებლობის უფლება ენიჭება ერთ **მეანაზრეს**;
- 3.1.3.2. **ვადიანი ანაზრით** სარგებლობისთვის **საკომისიო** განსაზღვრული არ არის;
- 3.1.3.3. **ვადიანი ანაზრის** და მასზე დარიცხული **საპროცენტო სარგებლის** ვადამდე გაცემა ან გატანა დაუშვებელია. მიუხედავად აღნიშნული დათქმისა, თუ **ვადიანი ანაზრის** ან/და მასზე დარიცხული **საპროცენტო სარგებლის** ვადამდე გატანა განხორციელდება **ბანკის** თანხმობის/ნებელობის გარეშე, **ვადიან ანაზრზე** დარიცხული **საპროცენტო სარგებელი** ანუღირდება/უქმდება ან/და **ვადიანი ანაზრის ხელშეკრულებით** განსაზღვრული მოცულობით მცირდება **საპროცენტო სარგებელი** ან/და **ბანკი** უფლებამოსილია გამოიყენოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უფლებები;

- 3.1.3.4. ვადიანი ანაზრის გატანის მოთხოვნიდან ან/და ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში ვადიანი ანაზარი და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი უნდა აისახოს საანაზრო ანგარიშზე ან მომსახურე ანგარიშზე;
- 3.1.3.5. ხელშეკრულების სრულად შეწყვეტით ან ვადიანი ანაზრის გატანის მოთხოვნის საფუძველზე ვადიანი ანაზრის გატანით საანაზრე ანგარიში იხურება.
- 3.1.4. ვადიანი ანაზრით სარგებლობისათვის:
- 3.1.4.1. ბანკის შეხედულებისამებრ და ცალმხრივი გადაწყვეტილებით: ა) საანაზრე ანგარიშად ან/და მომსახურე ანგარიშად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მენაზრის ნებისმიერი ანგარიში ან/და ბ) მენაზრეს ეხსნება საანაზრე ანგარიში ან/და მომსახურე ანგარიში, აღნიშნული მიზნით კი მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება იმავდროულად ინდივიდუალურად და ერთობლივად წარმოადგენს საანაზრე ანგარიშის ან/და მომსახურე ანგარიშის გახსნის/სარგებლობის შესახებ განაცხადს;
- 3.1.4.2. საანაზრე ანგარიშით და მომსახურე ანგარიშით სარგებლობის ურთიერთობებზე ვრცელდება წინამდებარე სტანდარტული პირობები და საბანკო მომსახურების პირობები (რომლებიც არ ეწინააღმდეგება ან/და არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით მენაზრის შესაბამისი სამართლებრივი სტატუსიდან (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი) გამომდინარე.
- 3.1.5. საანაზრე ანგარიშზე ვადიანი ანაზრის განთავსებით ბანკი მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და იღებს ვალდებულებას, ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და პირობებით: ა) ვადიან ანაზარს დაარიცხოს საპროცენტო სარგებელი და ბ) დააბრუნოს იგი იმავე ვალუტაში.
- 3.2. საპროცენტო სარგებელი, საკომისიო და მათი დაანგარიშების, დარიცხვის, გაცემის და განკარგვის წესი**
- 3.2.1. ვადიანი ანაზრის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ბანკში მოქმედი საპროცენტო სარგებლის და საკომისიოს მოცულობა განისაზღვრება ვადიანი ანაზრის ხელშეკრულებით;
- 3.2.2. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა უნდა განხორციელდეს იმავე ვალუტაში რა ვალუტაშიც გახსნილია ვადიანი ანაზარი. საპროცენტო სარგებლის დარიცხვა იწყება საანაზრე ანგარიშზე ვადიანი ანაზრის განთავსების მეორე საბანკო დღიდან და გრძელდება ვადიანი ანაზრის გატანის დღის ჩათვლით;
- 3.2.3. საპროცენტო სარგებელი იანგარიშება ვადიანი ანაზრით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთ) დღეზე გაანგარიშებით;
- 3.2.4. თუ საპროცენტო სარგებლის გაცემის თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, ბანკი საპროცენტო სარგებლის გაცემას უზრუნველყოფს მომდევნო საბანკო დღეს;
- 3.2.5. საკომისიო იანგარიშება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორმითა და პერიოდულობით;
- 3.2.6. ვადიანი ანაზრის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ბანკში მოქმედი საპროცენტო სარგებლის და საკომისიოს დარიცხვის, გაცემის და განკარგვის სხვა წესები და პირობები განისაზღვრება ვადიანი ანაზრის ხელშეკრულებით.
- 3.2.7. საპროცენტო სარგებლის და საკომისიოს მოცულობა, დარიცხვის, გაცემის და განკარგვის წესები და პირობები ცვალებადია, განისაზღვრება ბანკის მიერ ცალმხრივად/სტანდარტულად და შეესაბამება მისი/მათი დარიცხვის, გაცემის და განკარგვის მომენტისათვის ბანკის მიერ დადგენილ მოცულობას თუ წესებსა და პირობებს, ხოლო აღნიშნული ცვლილებები/დამატებები: ა) არ საჭიროებს ვადიანი ანაზრის ხელშეკრულებაში წერილობითი ფორმით შეტანას; ბ) ამოქმედდება ბანკის მიერ განსაზღვრული თარიღიდან; გ) მათ თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ბანკმა უნდა შეატყობინოს მენაზრეს ხელშეკრულების დანართი N1-ის მე-5 მუხლით დადგენილი წესით ან/და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ან/და ბანკის სერვის ცენტრებში ან/და სხვა მომსახურების წერტილებში, მათ შორის ბანკის ვებ-გვერდზე შესაბამისი განცხადების განთავსებით;
- 3.2.8. ვადიანი ანაზრით სარგებლობიდან გამომდინარე კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადის გადახდა მოხდება მენაზრის ხარჯებით და დაკავდება საპროცენტო სარგებლიდან ან/და მენაზრის ნებისმიერი სხვა სახსრებიდან, მენაზრის შემდგომი თანხმობის ან/და აქცეპტის გარეშე.
- 3.3. საკომისიოს და სხვა გადასახდელების გადახდის წესი**
- 3.3.1. თუ ბანკი სხვაგვარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს ან/და ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული საკომისიო და სხვა გადასახდელები გადახდას ექვემდებარება მათი დარიცხვის მომენტიდან.
- 3.3.2. თუ ვადიანი ანაზრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომისიოს დარიცხვის/გადახდის მომენტში, კანონმდებლობით (მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით) დადგენილია საკომისიოს განაკვეთები, რომელთა მოცულობა უფრო დაბალია, ვიდრე ვადიანი ანაზრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკომისიოს

განაკვეთები, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს **კანონმდებლობით** (მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციებით) დადგენილი **საკომისიოს** მაქსიმალური განაკვეთი (ამგვარის არსებობის შემთხვევაში).

3.3.3. **მეანაზრე** ცალსახად და გამოუთხოვადად აცხადებს თანხმობას **საკომისიოს** და სხვა გადასახდელების გადახდის შემდეგ თანმიმდევრობაზე: პირველ რიგში იფარება **საკომისიო** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შემდეგ სხვა გადასახდელები. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს **ბანკის** შეხედულებით.

3.3.4. **საკომისიოს** და სხვა გადასახდელების გადახდა უნდა განხორციელდეს იმავე ვალუტაში რა ვალუტაშიც გახსნილია **ვადიანი ანაზარი**, ხოლო აღნიშნული მიზნით თანხის კონვერტაციის აუცილებლობის შემთხვევაში კონვერტაცია უნდა განხორციელდეს **მეანაზრის** ხარჯზე კონვერტაციის თარიღისათვის **ბანკში** დაწესებული კომერციული კურსით ან **მეანაზრესთან** შესაბამისი მიზნობრიობით შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.3.5. **მეანაზრის** მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება **ჯეროვნად** შესრულებულ ვალდებულებად, თუ ისინი გადახდილია **ხელშეკრულებით** დადგენილ თარიღში, ხოლო თუ ეს თარიღი ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო **საბანკო დღისა**. ამასთან, თუ ამგვარი მომდევნო **საბანკო დღე** არის (ემთხვევა) საანგარიშო თვის მომდევნო თვეში, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს **ვადიანი ანაზრის ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადახდის თარიღის წინა **საბანკო დღეს**.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით.

4.2. ამასთან, **მეანაზრე** პასუხს აგებს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით **ბანკისათვის** მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე (ზარალზე). ზიანის (ზარალის) ანაზღაურება **მეანაზრეს** არ ათავისუფლებს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან (გადახდისაგან).

4.3. მიუხედავად **ხელშეკრულების დანართი N1-ის 4.1. და 4.2. პუნქტებით** განსაზღვრული გარანტიებისა, **მეანაზრის** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და **ჯეროვნად**

შესრულების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად **ბანკის** უფლებებისა და მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, **მეანაზრე** აცხადებს წინასწარ თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე:

4.3.1. რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს შესაბამისი გადასახდელების თანმიმდევრობა და რიგითობა;

4.3.2. **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი ვადამოსული გადასახდელის სრულად და **ჯეროვნად** დაფარვამდე, მასთან არსებული წესების დაცვით უაქცეპტოდ დაბლოკოს **მეანაზრის** ნებისმიერი სახის **ანგარიში**;

4.3.3. **მეანაზრის** ნებისმიერი სახის **ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს/გამოქვითოს ყველა გადასახდელი, რომელიც გამომდინარეობს **ხელშეკრულებიდან**, ხოლო თუ გადასახდელი და **ანგარიშზე** რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით ან **მეანაზრესთან** შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს **მეანაზრის ანგარიშიდან**, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად.

5. კომუნიკაცია მხარეებს შორის

5.1. **მხარეებს** შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. **მხარისათვის** გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის დაზღვეული წერილის) საშუალებით. ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე **მხარისათვის** შეტყობინების მიწოდება დეკემბის, ტელექსის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, მობილ-ბანკის, ინტერნეტ-ბანკის ან **ბანკის** მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის გზით, იმ პირობით, რომ მეორე **მხარის** მოთხოვნის შემთხვევაში, ამგვარი მოთხოვნიდან გონივრულ ვადაში მას წარედგინება შეტყობინება წერილობითი ფორმითაც.

5.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი

- ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:
- 5.2.1. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის შემწევობით წერილობითი შეტყობინების ან დეპეშის გაგზავნის შემთხვევაში – ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს;
 - 5.2.2. ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით (გარდა მობილ-ბანკის და ინტერნეტ-ბანკისა) გაგზავნის შემთხვევაში – ადრესატის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან, ან შესაბამისი ქმედების განხორციელებით შეტყობინების მიღების დადასტურების თარიღიდან;
 - 5.2.3. მობილ-ბანკის, ინტერნეტ-ბანკის ან/და ბანკის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში – გაგზავნის თარიღიდან მეორე სამუშაო დღეს, თუ სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული კომუნიკაციის ამგვარი საშუალებების გამოყენებაზე ბანკის მიერ დადგენილი წესებითა და პროცედურებით.
 - 5.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.
 - 5.4. მხარეები ურთიერთობას განხორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართებზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით). მხარე ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.
- 6. კონფიდენციალურობა**
- 6.1. მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაიცვან მეორე მხარისაგან მიღებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
 - 6.2. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას:
 - 6.2.1. რომელიც კანონმდებლობის დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები მხარისათვის მეორე მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;
 - 6.2.2. რომლის გამჟღავნებაც მოხდება მხარეთა მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე მხარის მიერ სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);
 - 6.2.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა წყაროებიდან;
 - 6.2.4. რომელიც არის, ან გახდება მესამე პირისათვის ხელმისაწვდომი მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, ან მათგან დამოუკიდებლად.
 - 6.3. მიუხედავად ხელშეკრულების დანართი N1-ის 6.1. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვისა, მენაბრე ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას, მენაბრის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის ან აქცეპტის გარეშე:
 - 6.3.1. მენაბრის შესახებ ინფორმაცია გადასცეს მის შვილობილ კომპანიას ან სხვა აფილირებულ პირს მენაბრისათვის სხვადასხვა ტიპის მომსახურების შეთავაზების მიზნით, იმ პირობით და იმის გათვალისწინებით, რომ:
 - 6.3.1.1. ამგვარი ინფორმაცია შემოიფარგლება მხოლოდ იმ ინფორმაციით, რაც აუცილებელია ამგვარი მომსახურების შესათავაზებლად ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად;
 - 6.3.1.2. ინფორმაციის მიმღები პირი დაიცავს ზემოაღნიშნულ დებულებებს ინფორმაციის კონფიდენციალობასთან დაკავშირებით.
 - 6.3.2. საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვრული და ს.ს. „კრედიტინფო საქართველოსთან“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204470740) ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებასთან შეთანხმებული წესით, ფორმით და ვადებში:
 - 6.3.2.1. ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას, რომელიც შეიძლება ფუნქციონირებდეს ან დაარსდეს საქართველოს ან ნებისმიერი სხვა იურისდიქციის ქვეშ, მიაწოდოს ინფორმაცია მენაბრის შესახებ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: მენაბრის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, აგრეთვე მენაბრის მსხვილი აქციონერებისა/დამფუძნებლების და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელებსა და საიდენტიფიკაციო მონაცემებს, მიმდინარე ვალის წარმოშობის საფუძველს, მოცულობას, მიზნობრიობას, დარიცხულ საპროცენტო სარგებელს, მოქმედების ვადას, მენაბრის მიერ ვალთან დაკავშირებული გადახდების დროულობას, დავალიანების ნაშთს, უზრუნველყოფის საგნის საიდენტიფიკაციო მონაცემებს, ხოლო სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) დავის არსებობის შემთხვევაში სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) სამართალწარმოების და სააღსრულებო წარმოების შედეგებს;

6.3.2.2. მისცეს თანხმობა ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას, რომ **ბანკის** მიერ ს.ს. „კრედიტინფო საქართველოსათვის“ ან ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებისათვის მიწოდებული **მეანაზრის** მონაცემები ს.ს. „კრედიტინფო საქართველომ“ ან ნებისმიერმა სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებამ გადასცეს **მესამე პირს**, იმ პირობით რომ **ბანკის** მიერ მიწოდებული **მეანაზრის** მონაცემების მიწოდება მოხდება იმ **პირისთვის**, რომლებიც თავადაც აწვდიან ს.ს. „კრედიტინფო საქართველოს“ ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებას აღნიშნული ხასიათის მონაცემებს და რომელთაც გაფორმებული აქვთ შესაბამისი ხელშეკრულება ს.ს. „კრედიტინფო საქართველოსთან“ ან ნებისმიერ სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებასთან;

6.3.2.3. მოიძიოს, მიიღოს და გამოიყენოს ს.ს. „კრედიტინფო საქართველოსთან“ ნებისმიერი სხვა მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულების მონაცემთა ბაზაში არსებული **მეანაზრის** მონაცემები.

6.3.3. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან ან/და ნებისმიერი სხვა იდენტური ან მსგავსი ფუნქციის მქონე დაწესებულებიდან (კერძო ან საჯარო) გამოითხოვოს, მიიღოს და შეინახოს **მეანაზრის** შესახებ დაცული ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები და საიდენტიფიკაციო დოკუმენტები) და აღნიშნული ინფორმაციის მონაცემთა ბაზები (მათ შორის ელექტრონული ბაზები), ასევე შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება ან/და პროცედურა რაც დაკავშირებულია ზემოაღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებასთან;

6.3.4. **მეანაზრის** შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს **მესამე პირს** **მეანაზრის** მიერ **ხელშეკრულების** პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად **ბანკის** უფლებების განხორციელების მიზნით, ან/და **მეანაზრის** მიერ **ხელშეკრულების** პირობების შესრულებაზე მონიტორინგის მიზნით.

7. პრეტენზიები და დავები

7.1. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე პრეტენზიები **მხარეებმა** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები **მხარე** ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე **მხარეს** მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. **მეანაზრის**

მიერ პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია **ბანკის** სერვის ცენტრებში, ხოლო პრეტენზიების განხილვის პროცედურების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია **ბანკის** სერვის ცენტრებში და **ბანკის** ვებ-გვერდზე. **მეანაზრის** მიერ წერილობითი ფორმით პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია სტანდარტული ფორმით.

7.2. **ხელშეკრულების** ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, **ხელშეკრულების** არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

8. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

8.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი დადების მომენტიდან და მოქმედებს **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8.2. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** დადგენილ შემთხვევებში და პირობებით შესაძლებელია **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტა:

8.2.1. **ბანკის** მიერ: ა) **მეანაზრის** მხრიდან **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ნებისმიერი უფლება-მოვალეობების სრულად და ჯეროვნად განხორციელებამდე/შესრულებამდე ან ბ) თუ **მეანაზრე** სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს **ხელშეკრულებით** ან/და **ბანკთან** დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას (მათ შორის, ფულად ვალდებულებას, **განცხადებებს** და **გარანტიებს**, ნებისმიერ პირობას ან/და სხვა ვალდებულებას);

8.2.2. **მხარეთა** შეთანხმებით;

8.2.3. **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. თუ **ბანკი** სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს, **ხელშეკრულება** ავტომატურად წყდება იმ შემთხვევაში თუ: ა) **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად არ განხორციელდება შესაბამისი თანხის განთავსება **საანაზრე ანგარიშზე** ან/და **მომსახურე ანგარიშზე** (ასეთის არსებობისას) ან მიუხედავად შესაბამისი თანხის **მომსახურე ანგარიშზე** (ასეთის არსებობისას) განთავსებისა **ბანკი** ვერ უზრუნველყოფს შესაბამისი თანხის სრული მოცულობით გადატანას **საანაზრე ანგარიშზე** - შესაბამისი თანხით **მეანაზრის** მიმართ არსებული **ბანკის** მოთხოვნების დაკმაყოფილების ან/და შესაბამისი თანხაზე გავრცელებული ნებისმიერი

- სახის სამართლებრივი შეზღუდვის (მათ შორის ინკასო ან/და ყადაღა) გამო; ბ) **ვადიანი ანაზრის** ესა თუ ის ტიპი გაუქმდება **ბანკის** მიერ; გ) **საპროცენტო სარგებლის** მოცულობა ნულის ტოლი გახდება.
- 8.4. **მხარე**, რომელიც მიიღებს **ხელშეკრულების** ცალმხრივად შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე **მხარეს** მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, რომელიც არ უნდა იყოს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე ნაკლები. ამასთან, თუ **ხელშეკრულებით** ან/და **კანონმდებლობით** გათვალისწინებულ შემთხვევებში **ხელშეკრულება** შესაძლებელია ან უნდა შეწყდეს უფრო მოკლე ვადებში, ან/და **ბანკს** მიზანშეწონილად მიაჩნია **ხელშეკრულების** უფრო მოკლე ვადებში შეწყვეტა, **ხელშეკრულება** შეიძლება უფრო მოკლე ვადებშიც შეწყდეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში **მეანაზრე** იღებს ვალდებულებას **კანონმდებლობით** ნებადართულ ფარგლებში ითანამშრომლოს **ბანკთან** ამგვარი შეწყვეტის შედეგად **ბანკისათვის** შესაძლო ზიანის (ზარალის) მიყენების თავიდან ასაცილებლად ან მაქსიმალურად შესამცირებლად.
- 8.5. **ხელშეკრულების დანართი N1-ის 8.2.1. ქვეპუნქტით** გათვალისწინებულ ნებისმიერი შემთხვევის, ან სხვა მსგავსი გარემოების (რაც წარმოადგენს **ხელშეკრულების** შეწყვეტის საფუძველს) დადგომისას **ბანკი** უფლებამოსილია **ხელშეკრულების** შეუწყვეტლად, ან **ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოსთხოვოს **მეანაზრეს** ფინანსური ვალდებულებების ვადამდე შესრულება. ასევე, **საანაზრე ანგარიშიდან** ან/და **მომსახურე ანგარიშიდან** უაქცეპტოდ ჩამოწეროს/გამოქვითოს ყველა გადასახდელი, ხოლო თუ გადასახდელი და შესაბამის ანგარიშებზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით ან **მეანაზრესთან** შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს შესაბამისი ანგარიშებიდან, კონვერტირებული თანხა კი მიმართოს შესაბამისი გადასახდელის დასაფარად, ხოლო თავის მხრივ ასევე ვადამდე შეასრულოს ვალდებულებები **მეანაზრის** წინაშე.
- 8.6. **მეანაზრის** ინიციატივით **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, **ვადიან ანაზარზე** დარიცხული **საპროცენტო სარგებელი** ანულირდება/უქმდება ან/და **ვადიანი ანაზრის ხელშეკრულებით** განსაზღვრული მოცულობით მცირდება **საპროცენტო სარგებელი** ან/და **ბანკი** უფლებამოსილია გამოიყენოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უფლებები, მათ შორის ანულირებული ან/და შემცირებული **საპროცენტო სარგებლის** კონპენსირება მოახდინოს **ვადიანი ანაზრის** ხარჯზე, თუ შესაბამის მომენტში **საპროცენტო სარგებელი** უკვე გატანილია (მათ შორის წინასწარ) **მეანაზრის** მიერ.
- 8.7. **ბანკის** ინიციატივით **ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, **ვადიან ანაზარს** **საპროცენტო სარგებელი** დაერიცხება **ვადიანი ანაზრით** სარგებლობის ფაქტობრივი დღეების შესაბამისად.
- 8.8. **ხელშეკრულების** შეწყვეტა არ ათავისუფლებს **მეანაზრეს ხელშეკრულებით** ნაკისრი ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.
9. **ცვლილებები და დამატებები**
- 9.1. **ხელშეკრულებაში** ინდივიდუალური ხასიათის ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით **მხარეთა** შეთანხმებით.
- 9.2. მიუხედავად **ხელშეკრულების დანართი N1-ის 9.1. პუნქტით** გათვალისწინებული შეზღუდვისა, **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ, **მეანაზრის** დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, ცალმხრივად შეცვალოს როგორც **სტანდარტული პირობები**, ასევე **კონკრეტული პირობები**, მათ შორის:
- 9.2.1. შეცვალოს **ხელშეკრულებით** დადგენილი **საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს** ან/და სხვა გადასახდელების ოდენობა(ები);
- 9.2.2. შეცვალოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული გადახდის ვადა/ვადები, იმ პირობით, რომ ამგვარი ცვლილების შედეგად გადახდის ვადა/ვადები უნდა შეიცვალოს არაუმეტეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით;
- 9.2.3. დაადგინოს **ვადიანი ანაზრით** სარგებლობასთან დაკავშირებული **საკომისიოს** ტიპები ან/და მათი განაკვეთ(ებ)ის ოდენობა.
- 9.3. **ბანკის** მიერ **ხელშეკრულების დანართი N1-ის 9.2. პუნქტით** გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში:
- 9.3.1. თუ ასეთი გადაწყვეტილება აუარესებს **მეანაზრის** მდგომარეობას, მაშინ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესახებ **ბანკი** ცვლილების ძალაში შესვლის თარიღამდე არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე ატყობინებს **მეანაზრეს ხელშეკრულების დანართი N1-ის მე-5 მუხლით** დადგენილი წესით (იმ შემთხვევაში თუ ცვლილებები/დამატებები ინდივიდუალური ხასიათისაა) ან/და **ბანკის** სერვის ცენტრებში თუ სხვა მომსახურების წერტილებში შესაბამისი განცხადების განთავსებით (იმ შემთხვევაში თუ ცვლილებები/დამატებები საერთო ხასიათისაა). **მეანაზრე** უფლებამოსილია

- შეტყობინების მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში წერილობითი სახით უარი განაცხადოს ამგვარ ცვლილებაზე, და ასეთ შემთხვევაში, ცვლილება არ შევა ძალაში, ხოლო **ბანკი** უფლებამოსილია წერილობითი უარის თარიღიდან მომდევნო 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში შეწყვიტოს საპროცენტო სარგებლის დარიცხვა ან/და შეწყვიტოს **ხელშეკრულება** ან/და შესაბამისი პერიოდისთვის დარიცხული საპროცენტო სარგებელი განათავსოს **საანაზრე ანგარიშზე** ან **მომსახურე ანგარიშზე**. იმ შემთხვევაში, თუ **მეანაზრე** არ ისარგებლებს ამ **ქვეპუნქტით** გათვალისწინებული უფლებით, ამგვარი ცვლილება ძალაში შევა **ბანკის** შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან;
- 9.3.2. თუ ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია **მეანაზრის** სასარგებლოდ, ან/და არ აუარესებს **მეანაზრის** მდგომარეობას, მაშინ ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს **მეანაზრის** დამატებით თანხმობას ან აქცეპტს და ამ სახით შეცვლილი პირობები ამოქმედდება **ბანკის** მიერ განსაზღვრული თარიღიდან. ამასთან, **ბანკი** ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში შეატყობინოს **მეანაზრეს ხელშეკრულების დანართი N1-ის მე-5 მუხლით** დადგენილი წესით (იმ შემთხვევაში თუ ცვლილებები/დამატებები ინდივიდუალური ხასიათისაა) ან/და **ბანკის** სერვის ცენტრებში თუ სხვა მომსახურების წერტილებში შესაბამისი განცხადების განთავსებით (იმ შემთხვევაში თუ ცვლილებები/დამატებები საერთო ხასიათისაა).
- 9.3.3. **ხელშეკრულებაში** შეტანილი ცვლილებები და დამატებები (მათ შორის **ხელშეკრულების დანართი N1-ის 9.2. და 9.3. პუნქტების** შესაბამისად განხორციელებული ცვლილებები და დამატებები) წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს.
- 10. ხელშეკრულების პირობების მოქმედება მეანაზრის მიმართ**
- 10.1. **ხელშეკრულების** მიზნებისათვის, „**მეანაზრე**“-ს დეფინიციის მოცემულ პირზე **ხელშეკრულების** პირობები გავრცელდება სრულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაბამისი პირის სამართლებრივი სტატუსიდან (ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნი) გამომდინარე კონკრეტული პირობა ვერ გავრცელდება ამგვარ პირზე.
- 10.2. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულების** მხარეს წარმოადგენს ერთზე მეტი **მეანაზრე**:
- 10.2.1. თითოეული ასეთი **მეანაზრე** წარმოადგენს **ბანკის** მიმართ სოლიდარულ კრედიტორს/მოვალეს
- ხელშეკრულებიდან** გამომდინარე მოთხოვნებზე/ვალდებულებებზე და შესაბამისად:
- 10.2.1.1. **ბანკს** შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ვალდებულებები შეასრულოს ნებისმიერი **მეანაზრის** წინაშე. ამასთან, ერთ-ერთი **მეანაზრისათვის** ვალდებულების მთლიანად შესრულება ათავისუფლებს **ბანკს** დანარჩენი **მეანაზრის** წინაშე ვალდებულებისაგან;
- 10.2.1.2. თუ ერთ-ერთი სოლიდარული **მეანაზრე** უარს იტყვის **ბანკის** წინაშე მოთხოვნაზე, მაშინ **ბანკი** თავისუფლდება მხოლოდ იმ ნაწილის გადახდისაგან, რომელიც მოცემულ **მეანაზრეს** ერგებოდა. ამასთან, **ბანკთან** მიმართებით თითოეულ სოლიდარულ **მეანაზრეს** აქვთ თანაბარი წილი.
- 10.2.2. თითოეული **მეანაზრის** სოლიდარული პასუხისმგებლობა ვრცელდება **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ ვალდებულებებთან მიმართებაში და შესაბამისად;
- 10.2.2.1. ერთ-ერთ **მეანაზრესთან** დაკავშირებული ფაქტები გამოიყენება ნებისმიერი სხვა **მეანაზრესთან** მიმართაც, იმის გათვალისწინებით, რომ **ბანკის** მიერ რომელიმე **მეანაზრის** მიმართ თავისი უფლებების გამოუყენებლობა (სრულად ან ნაწილობრივ) არ გავრცელდება სხვა **მეანაზრეზე** და არ ათავისუფლებს მას/მათ შესაბამისი ვალდებულებებისაგან;
- 10.2.2.2. ერთ-ერთი **მეანაზრის** მიერ **ხელშეკრულების** დარღვევის შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია შესაბამისი მოთხოვნა/მოთხოვნები წაუყენოს ნებისმიერ **მეანაზრეს** და მის მიმართ ისარგებლოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ან/და **კანონმდებლობით** დადგენილი უფლებებით.
- 11. სხვა პირობები**
- 11.1. **მხარეები** ადასტურებენ, რომ **ხელშეკრულების** შინაარსი ზუსტად გამოხატავს **მხარეთა** ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა **ხელშეკრულების** შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.
- 11.2. ერთ-ერთი **მხარის** მხრიდან **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** დარღვევასთან დაკავშირებით მეორე **მხარის** მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება **ხელშეკრულების** ან/და **კანონმდებლობის** ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.
- 11.3. **ხელშეკრულების** (მათ შორის, მისი **დანართების**) რომელიმე მუხლის, პუნქტის ან/და ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად **ხელშეკრულების** ან/და მისი სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად

- მიიღწევა ხელშეკრულებით (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.
- 11.4. ხელშეკრულების დანართებზე სრულად ვრცელდება ხელშეკრულების მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება.
- 11.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების დებულებ(ებ)ის არსებობა/არარსებობასთან, მათ შინაარსთან, განმარტებასთან ან/და განხორციელებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ბანკში დაცულ ეგზემპლარს. ამასთან, ამ უკანასკნელ დებულებასთან მიმართებით ყოველგვარი ეჭვის ან/და დავის გამორიცხვის მიზნით, მეანაბრე ვალდებულია ხელი მოაწეროს ხელშეკრულების (მისი დანართის ჩათვლით) ბანკში დაცული ეგზემპლარის თითოეულ გვერდს, მაგრამ მეანაბრის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ ხდის ამ პუნქტით გათვალისწინებულ დებულებას საეჭვოს ან სადავოს.
- 11.6. ხელშეკრულება მისი ვალდებულებებითა და სარგოებით ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეების, თუ მემკვიდრეებისათვის/სამართალმემკვიდრეებისათვის.
- 11.7. მეანაბრეს უფლება არა აქვს ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ან გადააბაროს მასზე ხელშეკრულებით (მათ შორის, მისი დანართით) ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულება ან მინიჭებული უფლება. ბანკის უარი გამორიცხავს ნებისმიერი ზემოაღნიშნული ქმედების ან/და გარიგების განხორციელების შესაძლებლობას და შესაბამისად ამ წესის დარღვევით განხორციელებული ქმედება ან/და გარიგება ბათილია და არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, გარდა კანონმდებლობით ცალსახად განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთან, ეს დებულება არ გულისხმობს დათქმას, რომ მეანაბრემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულებები და არ გამორიცხავს ბანკის უფლებას მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, მიუხედავად იმისა თანახმაა თუ არა მეანაბრე.
- 11.8. თუ მეანაბრე ბანკთან ურთიერთობებში გამოდის წარმომადგენლის მეშვეობით, ბანკი პასუხს არ აგებს წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელებულ ქმედებებზე (მათ შორის ანაბრის ან/და საპროცენტო სარგებლის გატანზე) თუ ბანკისთვის არ იყო ცნობილი წარმომადგენლობის შეწყვეტა.
- 11.9. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით, მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით.
- 11.10. თუ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობებში მეანაბრე გამოდის წარმომადგენლით/მინდობილი პირით:
- 11.10.1. ამგვარი წარმომადგენლის/მინდობილი პირის მონაწილეობით განხორციელებული ურთიერთობები არ შეიძლება გახდეს სადაო მეანაბრის მიერ;
- 11.10.2. ამგვარი წარმომადგენლის/მინდობილი პირის უფლებამოსილება ბანკის მიერ შეიძლება შეიზღუდოს, მხოლოდ მეანაბრის წერილობითი განცხადების საფუძველზე.
- 11.11. მეანაბრისათვის ცნობილია, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 5,000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge. ამასთან:
- 11.11.1. სადაზღვევოს შემთხვევის დადგომისას ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში მეანაბრის ანგარიშებზე (მათ შორის უცხოური ვალუტით) არსებული თანხები დაჯამდება და სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურებას დაექვემდებარება 5,000 ლარამდე თანხა, ხოლო თუ თანხა აღემატება 5,000 ლარს, დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;
- 11.11.2. კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე;
- 11.11.3. სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურება განხორციელდება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში, მიუხედავად იმისა, მოცემულ მომენტში კომერციულ ბანკს გააჩნია თუ არა შესაბამისი სახსრები;
- 11.11.4. ანაზღაურების ვალუტა – ლარი.
- 11.12. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. თუ რომელიმე მხარემ არ იცის ქართული ენა ან/და მისი დამწერლობა, ან მხარეებს ან ერთ-ერთ მხარეს სურს, მაშინ ხელშეკრულება შესაძლოა შედგეს და დაიდოს ასევე მხარეებისათვის მისაღებ სხვა ენაზეც. ხელშეკრულების ინტერპრეტაციისას უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ტექსტს. აღნიშნული ნორმები ვრცელდება, ასევე, მხარეთა შორის ურთიერთობაზე ან/და

ხელშეკრულების თუ ნებისმიერი სხვა დოკუმენტის შედგენასა თუ ინტერპრეტაციაზე.

- 11.13. **ხელშეკრულების** თანაბარი იურიდიული ძალის მქონე თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.